სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/04

(ოქმი N9)

ქ. ბათუმი 27 მაისი 2019 წ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^{10}-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, ამავე კანონის 35^{9} -ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14.07.2016წ) მე-7 მუხლის და ,,დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის შესახებ'' მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის 3.6. პუნქტის საფუძველზე:

1. მაუწყებლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე დაინტერესებულ პირთაგან კანდიდატად დარეგისტრირდეს:

ა) დავით ჩხარტიშვილი; ბ) გიორგი კოხრეიძე; გ) მერაბ წულუკიძე; დ) შოთა გურაბანიძე; ე) ნათია ზოიძე; ვ) ნუგზარ ჩხეიძე; ზ) თორნიკე მჟავანაძე; თ) ირმა ზოიძე.

2. მაუწყებლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე დაინტერესებულ პირთაგან კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი ეთქვას, გიორგი წულაიას.

3. მაუწყებლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატად დარეგისტრირებულ პირებთან გასაუბრება გაიმართოს 2019 წლის 30 და 31 მაისს შემდეგი განრიგით:

2019 წლის 30 მაისს გასაუბრებაზე მოწვეულია:

ა) დავით ჩხარტიშვილი - 10 საათზე.

ბ) გიორგი კოხრეიძე - 12 საათზე;

გ) მერაბ წულუკიძე - 14 საათზე;

დ) შოთა გურაბანიძე - 16 საათზე;

2019 წლის 31 მაისს გასაუბრებაზე მოწვეულია:

ა) ნათია ზოიძე - 10 საათზე;

ბ) ნუგზარ ჩხეიძე - 12 საათზე;

გ) თორნიკე მჟავანაძე - 14 საათზე;

დ) ირმა ზოიძე - 16 საათზე.

4. მაუწყებლის დირექტორის დასანიშნად (ასარჩევად) მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოვწეული იქნეს 2019 წლის 31 მაისს 19 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N57.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის ვადაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

7. გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი